სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/98

ქ. თბილისი

16 მაისი 2019

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტ გიორგი ჯაფარიძის განცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტატუსშეჩერებული სტუდენტის, გიორგი ჯაფარიძის განცხადების, ამავე ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის სამართლებრივი დასკვნისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტ გიორგი ჯაფარიძეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაუფინანსდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურაზე“ სწავლის საფასური, პროგრამის ხანგძლივობის სრული ვადით – ოთხი წელი;
2. გიორგი ჯაფარიძის მიერ სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან/და მობილობის შემთხვევაში ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსება წყდება;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტმა უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**